პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
სუთშაბათი
20 მარტი
№ 66 (17709)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნოვაცორთა მაგალითისამებრ

აჩაფეხული დადგა ჩვენს სამშობლოში. სამხრეთის რაიონების ბევრმა მეურნეობამ მინდვრის სამუშაოები დაიწყო. საადრო საგაზაფხულო კულტურებს უკვე თესავენ შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. შორს აღარ არის დრო, როცა ყველგან გაჩაღდება თესვა. ქვეყნის ყანებში იწყება მრავალი დღის ბრძოლა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მოსავლისათვის.

სოფლის მშრომელთა წინაშე პასუხსაგები ამოცანები დგას. ასრულებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მათ უნდა მიაღწიონ მარცვლეულის, საკვებისა და სხვა კულტურების უმაღლეს მოსავლიანობას, არსებითად გაზარდონ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. მიწათმოქმედებმა მთელი ძალები და გამოცდილება უნდა მოახმარონ იმას, რომ არა მარტო შეასრულონ წლის დავალებები და ვალდებულებანი, არამედ მაქსიმალურად შეავსონ გასული წლების მოსავლის დანაკლისი, სახელმწიფოს წინაშე მეურნეობათა დავალიანება. ვინც კი მინდვრებში და ფერმებში, სატრანსპორტო და გადასამუშავებელ საწარმოებში, დამამზადებელი ორგანოებში მუშაობს, უნდა ზრუნავდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ეკონომიკის ეფექტიანობისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა უკუგების გადიდებისათვის.

ასეთი ამოცანების გადაწყვეტა ძალუძთ სოფლის მშრომელებს. ამისათვის მათ დიდი შესაძლებლობანი აქვთ. აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებს ხმარდება დიდი რესურსები. სოფელი მიიღებს ასიათასობით ტრაქტორს, კომბაინს, ავტომობილს, სხვა მანქანასა და იარაღს. ქიმიური ქარხნები გაზრდიან მინერალური სასუქების მწარმოებლობას, გადიდდება ამშრობილი და სარწყავი მიწების ფართობები. მტკიცდება დამამზადებელი, გადამამუშავებელი, სატრანსპორტო და სარემონტო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ახლა საქმის წარმატება დამოკიდებულია კადრებზე, მათ უნარზე გამოიყენონ წარმოების საშუალებები, ადამიანთა ინიციატივაზე, შრომისმოყვარეობაზე. ჩვენი ქვეყანა მდიდარია ნიჭიერი მხვნელ-მთესველებით. წლითიწლობით იზრდება მინდვრებისა და ფერმების ოსტატთა არმია. სამშობლო ზრუნვასა და უურადღებას არ აკლებს იმათ, ვინც დაუცხრომლად იბრძვის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მიწათმოქმედთა უდიდესი დამსახურების აღიარების კიდევ ერთი დადასტურებაა ამას წინათ პრესაში გამოქვეყნებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი მათ შორის საუკეთესოთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

მთავრობის სპეციალურ ჯილდოები მიენიჭათ კომბაინერებსა და ტრაქტორისტებს, შოფრებსა და სასოფლო-სამეურნეო. ავიაციის მფრინავებს, მეცნიერებსა და პარტიულ მუშაკებს. მათ შორის არიან ცომბირისა და ყაზახეთის მხვნელ-მთესველები, უზბეკეთისა და სხვა რესპუბლიკების მეგამბეები, საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლ-

ПРАВДА
19 მარტის მოწინავე

დავეთის მეჩაიეები, მებოსტნეები, მევენახეები. მრავალი წლის მანძილზე ისინი შეუპოვარი, მამაცური შრომით უხვ და სტაბილურ მოსავალს იღებენ, გაჰყავთ გზა მოსავლის უზრუნველყოფისათვის. ამათ შორის, ვისაც სოციალისტური შრომის გმირის სპეციალური წოდება მიენიჭა, არის საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ნ. ბარაევი, რომელმაც მთელი ცხოვრება მოახმარა მიწების ნაყოფიერების გადიდების საქმეს, მარცვლეულისა და სხვა პროდუქციის წარმოების ზრდას.

სამშობლოს სპეციალური ჯილდოები სოფლის მეურნეობის განვითარებაში მარტო მინდვრების მშრომელთა უდიდესი პირადი წვლილის აღიარება როდია. ეს არის მოწინავე გამოცდილების, შემოქმედებითი ძიების მხარდაჭერის, წახალისების დადასტურება, სოციალისტური წარმოების უდიდესი რეზერვების მაჩვენებელი. სწორედ ამიტომ საჭიროა პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი ფართოდ და ყოველმხრივ გავაშუქოთ ნოვატორთა საქმიანობა, მათი მიღწევების არსი, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — შეკვეშეველთან, თითოეულთან მიწათმოქმედის კუთვნილება გავხადოთ შრომის პროგრესული ხერხები და მეთოდები. კვლავაც აქტიურად უნდა დავუჭიროთ მხარი მინდვრებისა და ფერმების ოსტატთა ინიციატივას, ცხადყოფთ თანამედროვე ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების, წარმოების უნარიანი ორგანიზაციის დიდი შესაძლებლობანი. სწორად იქცევიან იქ, სადაც საუკეთესო მექანიზატორებს, მემინდვრეებსა და მეცხოველეებს მოწინავე გამოცდილების სკოლებში იყენებენ მასწავლებლებად, მხარს უჭერენ დამრიგებლობს.

განსაკუთრებით საჭიროა შევიარაღდეთ შრომის ნოვატორული ხერხებით უკვე ახლა, საგაზაფხულო სამუშაოების პერიოდში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა უნდა იზრუნონ, რათა უზრუნველყონ მანქანა-ტრაქტორების პარკის ყველაზე ეფექტიანი ექსპლოატაციის, აგროტექნიკის განუხრელი დაცვის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების პირობები. მასობრივი თესვის წინ ერთხელ კიდევ უნდა გავაანალიზოთ, მზად ვართ თუ არა მინდორში გასვლისათვის, დავკომპლექტოთ მექანიზატორებით აგრეგატები, სწორად გავანაწილოთ კადრები, გავაცნოთ მხვნელ-მთესველებს დასახული ამოცანები. თითოეული ბრიგადირის, აგრონომის, ინჟინრის მოვალეობაა დაეხმაროს და მოსთხოვოს, მხარი დაუჭიროს ინიციატივას და განამტკიცოს დისციპლინა.

სოფლის მშრომელები მეტ დახმარებას ელიან იმათგან, ვინც ტრაქტორებს, კომბაინებს, სათადარიგო ნაწილებს, საწვავ-საპოხ მასალებს აწვდის მათ, არემონტებს მანქანებს. დღეს მრეწველობის მუშაკები დიდად განსაზღვრავენ მოსავლის ბედს. მათი მოვალეობაა ზრუნონ, მზად ვართ თუ არა მინდორში გასვლისათვის, დავკომპლექტოთ მექანიზატორებით აგრეგატები, სწორად გავანაწილოთ კადრები, გავაცნოთ მხვნელ-მთესველებს დასახული ამოცანები. თითოეული ბრიგადირის, აგრონომის, ინჟინრის მოვალეობაა დაეხმაროს და მოსთხოვოს, მხარი დაუჭიროს ინიციატივას და განამტკიცოს დისციპლინა.

სამშობლოს მისცეს მინდვრებისა და ფერმების მეტი პროდუქცია.

კოლმეურნეობების საბჭოების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო კრებას

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ კოლმეურნეობების საბჭოების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო კრების მონაწილეებს და თქვენი სახით მთელ კოლმეურნე გლეხობას, სოფლის მშრომელთა — კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა მრავალმილიონიან არმიას.

საკოლმეურნეო წყობილების შექმნა სოფლად ლენინური კოოპერაციული გეგმის პრაქტიკული განხორციელებისათვის პარტიის უდიდესი მუშაობის შედეგი, საბჭოთა ხალხის ისტორიული მონაპოვარია. იგი სოციალისტური საზოგადოების განუყოფელი ნაწილი გახდა, საბჭოთა გლეხობა დაიყენა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების გზაზე. ახლა კოლმეურნეობები მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებია, რომლებიც ემყარებიან საზოგადოებრივ საკუთრებას, თანამედროვე ტექნიკასა და მეცნიერების მიღწევებს.

სოფლის მეურნეობის მთავარი ამოცანა, როგორც პარტიის XXV ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა განსაზღვრეს, ის არის, რომ მიაღწიოს ყველა მისი დარგის ყოველმხრივ დინამიკურ განვითარებას, სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ქვეყნის საიმედო მომარაგებას საბჭოთა ადამიანების, მზარდ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისათვის.

ამ საერთო-სახელმწიფო ამოცანის გადაწყვეტაში, ქვეყნის სასურსათო ფონდის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საკოლმეურნეო წარმოებას.

კოლმეურნეები, სოფლის ყველა მშრომელი უნდა იბრძოდნენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის განუხრელი გადიდებისათვის. მუშაობის დამკვრელური ხანები იყო და არის სამარცხვინო მეურნეობა, მისი მყარი განვითარების უზრუნველყოფა. ამ ამოცანების გადაწყვეტაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მეცხოველეობა. ამ დარგის წარმატებული განვითარება ახლა ქვეყნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უპირველესი საზრუნავია. სოფლის მშრომელთა ვალია უფრო სრულად გამოიყენონ ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების ყველა წყარო, უფრო აქტიურად დანერგონ მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, გაზარდონ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა, ამასთან უზრუნველყონ მათი სულადობის ზრდა. მინდვრებისა და ფერმების მუშაკები მთელ მეცადინეობას უნდა ახმარდნენ მტკიცე საკვები ბაზის — მეცხოველეობის დაჩქარებული ალმავლობის გადამწყვეტი პირობის — შექმნას.

უნდა უზრუნველყოთ სოფლად შექმნილი ეკონომიკური პოტენციალის უმეტესი უკეთესად, ყოველნაირად ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა, უკეთ გამოვიყენოთ მიწა, ტექნიკა, სასუქები, საკვები, მთელი მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსები, დავიცვათ მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი და ვიყოთ ყაირათიანი, მივაღწიოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც უნდა შეეკრულოთ საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი, რათა მეთერთმეტე ხუთწლედში გვქონდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის საიმედო მარაგნამეტი. ეს ჩვენს კადრებს ავალებს იმუშაონ შემოქმედებითად, ეძებონ დასახული მიზნების მიღწევის ყველაზე ეფექტიანი გზები, ყველაფერში გამოიჩინონ სიმტკიცე, ორგანიზებულობა, მაღალი დისციპლინა.

ვუსურვებ სრულიად საკავშირო კრების მონაწილეებს ნაყოფიერ მუშაობას, ჩემლის მიზანია საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარება, კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობის სრულყოფა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სოფლის მშრომელები „ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს შეხვდებიან ახალი მიღწევებით შრომაში, დამკვრელური მუშაობით აღნიშნავენ პარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების წელს, ოირსეული წვლილს შეიტანენ ქვეყნის საზოგადოებრივი ოთოლათის გამრავლებაში საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

ლ. ბრეჟნევი,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

ზონკარის წყალსაცავი



სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ზონკარის (სამხრეთ ოსეთი) წყალსაცავის მშენებლობა. დამკვრელურად შრომობენ მებეტონეები, რომლებიც კაშხალს აგებენ.

მშენებლები კარგი მაჩვენებლებით შეხვდნენ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წელს ჩაანაბარონ ზონკარის წყალსაცავის მთელი კომპლექსი.

ხელოვნური ზღვის გარშემო მოეწყობა დასვენების ზონა; მისი წყალი ახლომახლო რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებსა და ბაღებს მორწყავს. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას.

ᲬᲘᲠᲐᲛᲘᲗᲔᲑᲘ: მოწინავე უბნის მშენებელი ოსტატი ნოდარ ჯანაშვილი; ზონკარის წყალსაცავის კაშხალზე ბეტონის სამუშაოებს ასრულებს ბრიგადა, რომელსაც ფილიმ ბოლატაევი ხელმძღვანელობს.

ლ. ᲒᲣᲡᲚᲘᲪᲘ ფოტო
(საქინფორმის ფოტოკრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწათმოქმედებას — საიმედო ტექნიკური არსენალი

სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების მიერ დასახული სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების, კოლმეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ჩვენს რესპუბლიკაში წარმოება მნიშვნელოვანი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების ამაღლებისათვის, მისი მოვლა-შენახვის გაუმჯობესების, მექანიზატორთა კადრებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფისა და ამ კადრების სოფლის მეურნეობაში შენარჩუნებისათვის.

მაგრამ დღეისათვის ეს საკმარისი არ არის. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება მოითხოვს ტექნიკის გამოყენების დონის ამაღლებას, შრომის ორგანიზაციის, მანქანა-ტრაქტორთა პარკისა და მოწყობილობების რემონტის მომსახურებისა და მოვლა-შენახვის მოწინავე მეთოდების დანერგვას, საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის განმტკიცებას.

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ა. ეიდევსკი.

ამხ. ა. ა. ეიდევსკი გაეცნო „საქსახსოფლტექნიკის“ მუშაობას, მოაწყო გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკური კომიტეტის მუშაკები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საწარმოო გაერთიანებათა მმართველები, მაღალი შეფასება მისცა მათს საქმიანობას.

ამავე დროს მან აღნიშნა, რომ საჭიროა მანქანების ცვლისა და დღეღამური გამომუშავების ამაღლება, შრომის უმაღლესი ნაყოფიერებისა და ტექნიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების მიღწევისათვის მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა.

ამხ. ა. ა. ეიდევსკი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს.

ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ა. ა. ეიდევსკი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ე. სარიშვილი ეწვივნენ გორისა და აბაშის რაიონებს, სადაც გაეცნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ბაზების, მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების მუშაობას, ესაუბრნენ მექანიზატორებს, გამოიკითხეს, როგორია მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.

ამხ. ეიდევსკის მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაში, რომელმაც განიხილა საკითხი „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ“. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად სოფლად საინჟინრო სამსახურის შემდგომი განმტკიცებისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დონის ამაღლების დარგში „საქსახსოფლტექნიკის“ ამოცანების შესახებ. (საქინფორმი).

ინფორმაციის დღე

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ამოცანები იმ დებულებებს მიხედვით, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის სიტყვა მოსკოვის ბაუმანის სახრჩვენო ოლქის ამომრჩეველებთან შეხვედრაზე, განიხილეს ინფორმაციის დღეს, რომელიც გაიმართა 19 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში. აქ მოიწვიეს რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, საინფორმაციო სააგენტოს, ჟურნალების, გამომცემლობების ხელმძღვანელი მუშაკები.

ინფორმაციის დღე შესაფალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების წინაშე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოადგილე ო. პ. ხოფერია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. მ. იობაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და ქვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე რ. რ. ჯინჯოლია. მათ ილაპარაკეს გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის მასალების, პარტიისა და მთავრობის ომნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების პროპაგანდის, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების ოთოო შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვის საქმეში. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ტექნიკას — სრული მზადყოფნა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიულმა კომისიამ, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და „კომკავშირული პროექტორის“ რესპუბლიკურმა შტაბმა შეამოწმეს, თუ როგორ არის გამზადებული სიღნაღის რაიონისა და ქალაქ წყალტუბოს ზონის მეურნეობათა მანქანა-ტრაქტორების პარკი მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება ამ მეურნეობებში ნელი ტემპით მიმდინარეობს, უხეშად იღოვება ტექნიკის მოვლის, დაცვა-შენახვისა და გამოყენების წესები.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ტექნიკის მომზადების საქმეში სერიოზული დარღვევებია. მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის „პარიზის კომუნის“ სახელობის კოლმეურნეობაში 13 გუთნიდან სამუშაოდ გამართულია მხოლოდ 5, სოფელ მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში 18 გუთნიდან — 12, სოფელ ბოდბის ალექსინინის სახელობის კოლმეურნეობაში 21 ტრაქტორის სათესელიდან — 14. გამოვლენილია „საქსახსოფლტექნიკის“ სიღნაღის რაიონულ გაერთიანებაში შეკეთებული მარცვლასალები კომბაინების უხარისხო რემონტის ფაქტები. მანქანა-აგრეგატების მომდინარე და კაპიტალური რემონტის დაბალ ხარისხს შედეგად მოჰყვა ის, რომ რაიონს არც ერთ კოლმეურნეობას არ გაუფორმებია ტექნიკის შეკეთების ხელშეკრულება.

შემოწმების დროს აღრეული გამოირკვა, რომ სიღნაღის რაიონის სოფლების ბოდბის, მაჩხაანის, მაღაროს კოლმეურნეობებში, ქალაქ წყალტუბოს ზონის გეგუთის მეთესლეობის ექსპერიმენტალურ და მაღლაკის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში არ არის მოგვარებული ტექნიკის მოვლა, ინახავენ მანქანა-ტრაქტორთა პარკის შენახვის წესებს.

სიღნაღის რაიონის მთელმა რიგმა მეურნეობებმა საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს არაზუსტი მონაცემები წარუდგინეს ტექნიკის საგაზაფხულო მზადყოფნის შესახებ. მაგალითად, სიღნაღის რაიონში მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის აღნიშნული იყო 216 შეკეთებული ტრაქტორის გუთანი, ხოლო 1 თებერვლისათვის — 201.

სოფელ მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას 1 თებერვლისათვის სამუშაოდ უნდა ჰქონოდა გამზადებული ყველა ტრაქტორის გუთანი, შემოწმებამ კი გამოავლინა, რომ კოლმეურნეობაში არსებული 18 გუთნიდან ექვსი შესაკეთებელია. სიღნაღის რაიონისა და ქალაქ წყალტუბოს ზონის მეურნეობათა დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სათბობის რეზერვით მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების პერიოდისათვის.

მექანიზატორები აკლიათ ქალაქ წყალტუბოს ზონის მაღლაკის და ფარცხანაყენევის საბჭოთა მეურნეობებს, სიღნაღის რაიონის მეურნეობებში ირიცხება 755 ტრაქტორისტ-მემანქანე საჭირო 875-ის ნაცვლად. სპეციალისტთა არყოლის გამო სამელიორაციო სამუშაოებს ტრაქტორისტები ასრულებენ.

შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ სიღნაღის რაიონისა და ქალაქ წყალტუბოს ზონის პარტიული, სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ტექნიკის მომზადებას, მანქანა-ტრაქტორთა პარკის მოვლა-შენახვის საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და „საქსახსოფლტექნიკის“ წინადადება მისცა კონკრეტულად გაერკვნენ ყოველ მეურნეობაში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების მდგომარეობის საკითხში, ერთობლივი მეცადინეობით აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ, რომ ტექნიკა დროულად გავიდეს მინდვრად. ადგილობრივ პარტიულ ორგანოებთან არსებულ პარტკომისიებს, რაიონულ, საქალაქო სახალხო კონტროლის კომიტეტებსა და „კომკავშირული პროექტორის“ შტაბებს რჩევა მიეცათ მუდმივი კონტროლი დაუწესონ მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენებას. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

საქართველოს სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეთა დიდ ჯგუფს მიენიჭა „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“, „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდებანი.

საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი და უფროსილო სამსახურისათვის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფს მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიოლოგიტრის“ წოდებანი.

კულტურის ძეგლთა შესწავლის, რესტავრაციისა და პოპულარიზაციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის პირთა ჯგუფს მიენიჭა „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრთა ჯგუფს მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება.

ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის, აზერბაიჯანულ ენაზე ქართული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნისა და ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს დილარ ალიევს ასულ ალიევას მიენიჭა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მოშაკის“ საპატიო წოდება.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით მწერალი მოსე ბესარიონის ძე გვასალია დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება:

კომპლექსურად მივუდგეთ აღზრდის საკითხებს

აღამიანის გუნება-განწყობილება

პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი ბ. მერკვილაძე გაოცებული იყო, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, სხვაც მავნე ტრადიციებისა და წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის საკითხს განიხილავდნენ, იგი მკაცრად გააკრიტიკეს იმისათვის, რისთვისაც, თითქოს, უნდა ამოთ კიდეც, — სამეურნეო საქმეებისათვის. დიახ, ეთხრეს მას, რაიონს ეკონომიკური მაჩვენებლობები თითქოს ცუდი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ბევრად უკეთესი. იქნებოდა, რაკომს მეტი რა ეზრუნა კოლექტივებში მორალური კლიმატის გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებით „მოხვდა“ მდივანს რესპუბლიკის უდიდეს საწარმოში — ფეროშენადნობთა ქარხანაში არსებული ნაკლოვანებებისათვის. სახელდობრ რისთვის? იქ ადამიანებისადმი უსულგულობასა და ფორმალურ-ბიროკრატიულ დამოკიდებულებას ავლენდნენ. უხეშად იროვნოდა უსაფრთხოების ტექნიკა და შრომის დაცვა. საამქროებში მოძველებული მოწყობილობა იდგა, ჰაერი გაჭუჭყიანებული იყო. უფრო მეტიც, საგეგმო დავალებებს არცთუ იშვიათად ზეგანაკვეთური სამუშაოების ხარჯზე ასრულებდნენ. ქარხნის მშრომელთა ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციისთვისაც არ ზრუნავენ მაინცდამაინც. დირექტორი ქალიტაშვილი ხელქვეითებს უხეშად და უტაქტოდ ეპყრობა.

სერიოზული სკა-ბაასი გამართა ბიუროს სხდომაზე. და, თითქოს, პარტიის რაიკომს, ქარხნის ხელმძღვანელებს სათანადო დასკვნები უნდა გამოეტანათ. მაგრამ აი, გავიდა დრო, განმეორდა შემოწმება. და რა გამოირკვა: დიდი არაფერი გაკეთებული. როგორ შეაფასა ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა? სათანადოდ. რაიკომის პირველი მდივანი თანამდებობიდან გათავისუფლდა, ქარხნის დირექტორი კი — პარტიიდან გაირიცხა. იგი დირექტორობიდანაც მოხსნეს. ამასთანავე შაი მეტალურგიის საკავშირო სამინისტროს წინაშე დაისვა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან.

დაგეგთანხმებით, რომ ფინანსიჩეკის სასწავლებელი და დამახასიათებელია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის დღევანდელი ატმოსფეროსათვის, სადაც სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება ნამდვილი პრინციპულობა მშრომელი ადამიანის ინტერესებისა და საქონიერების მივიწყების ყოველგვარი ფაქტების შეფასებისადმი.

მაგონდება საუბარი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშასთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან თ. როსტიაშვილთან. რესპუბლიკის წარმატებებზე ვბაასობდით. მეათე ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში ინდუსტრიამ პროდუქციის გამოშვება გაზარდა 30,1 პროცენტით — ეს 4 პროცენტით აღემატება გეგმას.

ჰოდა, როცა წარმატებებზე მიდგა საქმე, როსტიაშვილმა დამისახელა სხვა ციფრებიც: სამუშაო დროის დანაკარგები 1972 წლიდან მრეწველობაში შემცირდა ორჯერ და მეტად, შენებლობაში — თითქმის ოთხჯერ, ხოლო ტრანსპორტზე — 6,8-ჯერ. უფრო მკაცრად სთხოვენ პასუხს დისციპლინის დამრღვევებს და იმათ, ვისაც ხალხის შრომის ორგანიზაცია ევალება? უდავოდ.

მაგრამ განა მარტო ეს არის საქმე! — შესძახა, მახსოვს ჩემმა თანამოსაუბრემ. — წესრიგს მარტოოდენ სიმკაცრით ვერ დამყარებ. ვერც გულწრფელი საუბრებითა და მოწოდებებით. აქ საჭიროა ერთიც და მეორეც.

მთავარი კი, ჩემი აზრით, ადამიანისათვის ზრუნვაა. ეს აღზრდის საკეთილო საშუალებაა! რატომ არის, რომ ჩვენს ქარხანაში ხალხი მუყაითად ირჯება? იმიტომ, რომ კარგ გუნებაზე არიან. მობრძანდით და ნახეთ...

საავიაციო ქარხანაში ერთხელ და ორჯერ არ ვყოფილვარ. და ყოველთვის შემინიშნავს: აქ დღითი დღე სულ უფრო მეტს ზრუნავენ მშრომელი კაცისათვის. მის გუნება-განწყობილებას ემსახურება“ დიდი და ნათელი საამქროები, მოსახერხებელი საყოფაცხოვრებო კუთხეები, დასასვენებელი ადგილები. სხვათა შორის, „კედის საამქრო“ აქ უმნიშვნელოვანეს საწარმოო საამქროდ ითვლება. სასადილოები პირველი კლასის რესტორნებივით არის გაფორმებული. ერთმანეთი იაფი და გემრიელია. მენიუში მთელი წლის მანძილზე არის ახალი ბოსტნეული, რომელიც საკუთარი მძლავრი საკვალსათბურე მეურნეობიდან მოაქვთ. ხორციც „საკუთარი წარმოებისაა“. საწარმოში შექმნილია სავაჭრო გაერთიანება. მახლობლად განლაგებულია სხვადასხვა მაღაზია, ქარხნის დასახლებებიც პირდაპირ თვალი დაგრჩებათ! მარტო ამ ბოლო ორი წლის მანძილზე აქ ხუთი მრავალსართულიანი სახლი აღიმართა. აშენდა სამაჯშო ბაღი, გამრავლდა სპორტული მოედნები და მწვანე ნარგაობა.

განა ყოველივე ეს თავისთავად კეთდება? რა თქმა უნდა, არა. პარტკომმა დირექციასთან ერთად თავის დროზე შეიმუშავა კოლექტივის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი კომპლექსური გეგმა. ეს გეგმა მოიწონა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და ახლა მუყაითად ასხამენ ხორცს. დიახ, მუყაითად! მეტი რომ არა ვთქვათ, გულუბრყილობა იქნებოდა (გეგონებოდა: ესაო და გეგმა შეიმუშავეს და განზე გადგნენო. თუმცა, რა დასამალია, ჯერაც არ გადაშენებულან აუხდენელი პროექტების მოყვარულნი: გეგმებს შეადგენენ, ქეიყნის რამეს დაგპირდებიან, ნაყოფი კი არ ჩანს. საავიაციო ქარხანაში ასეთ კაცს არ ვაჯერებენ. აი, თუნდაც, ერთი მაგალითი. პარტკომი თავის სხდომაზე ქარხნის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პრობლემებს იხილავდა და ყურადღება მიაქცია იმას, რომ ეს მომსახურება უფრო ნელა უმჯობესდება, ვიდრე ნავარაუდევი იყო. რატომ? სერიოზული შეცდომები და ხარვეზები აღმოჩნდა სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხებში დირექტორის მოადგილის მუშაობაში. ამის გამო მისთვის წინათაც მიუთითებიათ. ამჯერად აღარავის შეუწუხებია თავი „ხვეწნით“. კომუნისტებმა მტკიცედ მოითხოვეს მისი გადადგომა.

ასეთი სიმკაცრე საქმეს რეგებს. მოვიყვან ასეთ მაგალითებს სხვა საწარმოთა პარტორგანიზაციების ცხოვრებიდანაც. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორად დიდხანს მუშაობდა დ. კიანაძე. წინათ, თითქოს, ცუდი მეურნე არ იყო, მაგრამ რაც უფრო გადიოდა ხანი, მით უფრო ხშირად არ ემთხვეოდა ერთმანეთს მისი სიტყვა და საქმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ადამიანებისთვის ზრუნვას ეხებოდა. და თანდათანობით ოდესღაც მოწინავე საწარმო ჩამორჩენილთა რიგებში აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ეს მარტო კიანაძის ბრალი არ იყო, მაგრამ, როგორც სწორად განსაჯეს კომუნისტებმა, უწინარესად მაინც მას უნდა ეგო პასუხი. ახლა აქ სხვა დირექტორია...

ცხადია, „თანამდებობიდან გათავისუფლება“, „პარტიული ხაზით დასჯა“ ადამიანებისადმი უყურადღებობისათვის, უკიდურესი ღონისძიებანია. და თუ გულწრფელად ვილაპარაკებთ, ამ ღონისძიებათა გამოყენების თითქმის ყოველი შემთხვევა მოწმობს, რომ თავის საქმიანობაში შეცდომები ჰქონია ამა თუ იმ პარტორგანიზაციას, პარტიულ კომიტეტს. ჩვეულებრივ, სამართლიანად სჯიან. მაგრამ რატომ ადრევე ვერ შენიშნეს „სენი“? რატომ არ ჩაერევნენ დროულად? ეს უმიზნო კითხვები არ არის... ეს კითხვები შეიძლებოდა დღეს დასმულიყო რუსთავის ქიმიური ქარხნის კოლექტივშიც, დროზე რომ არ ჩარეულიყვნენ იქ შექმნილ ვითარებაში პარტიის საქალაქო კომიტეტი და რესპუბლიკის პროფსაბჭო.

საქმე კი ასე იყო. საწარმოში ჯეროვნად არ ზრუნავდნენ მშრომელთა კულტურული დასვენებისათვის. დირექცია უხეშად ფანტავდა დაპირებებს, პარტკომი ამას ცნობად იღებდა, და... სიტყვა ლტონ სიტყვად რჩებოდა. „დაწმაგა“ დროულად მოვიდა! განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკეს საქალაქო კომიტეტმა ქარხნის დირექტორი გ. გოგოლაძე. ვერაფერს იტყვი, მან კრიტიკედან სწორი დასკვნები გამოიტანა. ახლა ქარხანაში სულ სხვაგვარად ეკიდებიან დასვენების ორგანიზაციას.

ასეთი ცვლილებები რესპუბლიკაში სულ უფრო მატულობს. წინათ როგორ იყო? პარტიული კომიტეტები ხშირად მხოლოდ აღნიშნავდნენ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს ამა თუ იმ უბანზე. იქ გამოასწორებდნენ საქმეს, მეორე დღეს კი, ზოგჯერ, იგივეს წაკუდუბობდნენ სხვაგან. ახლა სულ უფრო იგრძნობა მისწრაფება დინახონ ფაქტებს მიღმა პრობლემა, მიუდგნენ მას ყოველმხრივ, რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკის მასშტაბით.

ზემოთ მოგახსენეთ, თუ როგორ ზრუნავენ მშრომელებისათვის საავიაციო ქარხანაში. შეგვიძლია სხვა მაგალითებიც მოვიყვანოთ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშები ამბობენ, რომ ახლა ისინი მაღაზიებში, სასადილოებსა და საყოფაცხოვრებო „წერტილებში“ სიარულს ორჯერ ნაკლებ დროს ანდომებენ, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ. არსებითად, შორს წასვლა არც სჭირდებათ. გამოხვალ თუ არა ქარხნიდან, იქვეა მოდების ატელიე, ელექტრომენტორ სახელოსნო, სამრეცხაო, სასადილო, კაფე.... თავდაპირველად მეტალურგების გამოცდილება ბევრს რაღაც მიუწვდომელი ეგონა საწარმოთა უმრავლესობისათვის. ურიგო არ იქნებოდაო, ამბობდნენ ისინი, სხვებსაც ჰქონდეთო თავიანთი სარემონტო სახელოსნოები და სამრეცხაოები. მაგრამ საიდან გამონახავენო სახსრებს, საშენ მასალებსა და ა. შ. მაგრამ როგორც კი სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ, რესპუბლიკის საწარმოთა გასასვლელებთან მაშინვე გაჩნდა 120 სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტი.

პრობლემის სრული გადაწყვეტისადმი მისწრაფება, ანასიათებს სახალხო მეურნეობაში ხელის შრომის მექანიზაციის კომპლექსური პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობასაც. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საბჭოს ანგარიში მოისმინა. დამტკიცდა მოქმედების ვრცელი პროგრამა. კერძოდ, განისაზღვრა საბაზო საწარმოთა ქსელი. სულ შვიდი ასეთი საწარმოა. აქ თავისებურ ექრობაციას გაივლის სიახლეები, რომლებსაც შემდგომში სხვები გამოიყენებენ. მუშაობას შეუდგა 24 შესაბამისი რეგიონალური კომისიაც, რომლებშიც შევიდნენ სამინისტროებისა და უწყებების, მსხვილი საწარმოო გაერთიანებების, სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ცნობილი მუშები...

ერთი სიტყვით, რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება მუშაკაცის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მით უფრო გულსატკენია დიდი ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მთელი რიგი იმ სამსახურების საქმიანობაში, რომლებსაც ადამიანის გუნება-განწყობილებისათვის ზრუნვა ევალებათ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო და საქალაქო კომიტეტების პლენუმებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე არაერთხელ გაუკრიტიკებიათ, მაგალითად, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა მუშაობა. მათდამი პრეტენზიები კი არ კლებულობს. ავიღოთ, ვთქვათ, საყოფაცხოვრებო მომსახურება: აქ ხშირად მშრომელთა შეკვეთებს დიდი დაგვიანებით და დაბალხარისხოვნად ასრულებენ. დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნი ჩივიან, კავშირგაბმულობის მუშაკები თავს ვერ ართმევენო საქმეს. თბილისელები დიდი ხანია საყვედურს გამოთქვამენ ქალაქის სატელეფონო ქსელის ცუდი მუშაობის გამო. მთელი წლის განმავლობაში ვერ დარეკავდით წყნეთში, სადაც ზამთარ-ზაფხულ ათასობით დიდპატარა ისვენებს. მხოლოდ ამ დღეებში მოაგვარეს საქმე...

„რაც შეიძლება მეტი გულისხმიერება, მეტი ყურადღება, მეტი ზრუნვა ადამიანის მიმართ, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამასწინანდელ სხდომაზე, — ამას მოითხოვს პარტია ყველა ჩვენი დაწესებულებისა და თანამდებობის პირისაგან“. მაშასადამე, რაც შეიძლება მეტი მომთხოვნელობა მათ მიმართ! ეს მიგვაჩნია იმ ღონისძიებათა ეფექტიანობის შემდგომი ზრდის საწინდრად, რომლებსაც რესპუბლიკის კომუნისტები ახორციელებენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებათა განუხრელი შესრულების საფუძველზე.

გ. ლეგანიძე,

„პრავდის“ კორ.

„პრავდა“, 1980 წ. 19/III.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფსაბჭოები

რესპუბლიკური შეჯიბრების გამარჯვეულნი

სახალხო დეპუტატთა საბჭოებს შორის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ შეიჯამეს სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარებისა) საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების 1979 წლის შედეგები.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობენ, აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და საგრძნობი წარმატებანი მოიპოვეს მათს ტერიტორიაზე მდებარე მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროს საწარმოთა მიერ გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაში, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესებაში, სოციალისტური დისციპლინისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ გამარჯვეულად ცნეს და მიაკუთვნეს საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და **პირველი ფულადი პრემიები** (ავგერის საქალაქო, ახალქალაქის რაიონის დილიკის სასოფლო, გორის რაიონის სკრის სასოფლო, მარნეულის რაიონის ყიზილარის სასოფლო, მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო, თელავის რაიონის გულგულის სასოფლო სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

მეორე პრემიით დაჯილდოვდნენ მესტიის სადაბო, გურჯაანის რაიონის ჭანდრის სასოფლო, აბაშის რაიონის ნორიოს სასოფლო, თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის სადაბო, გარდაბნის რაიონის გამარჯვების სასოფლო, ადგილის რაიონის ვარხანის სასოფლო სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

მესამე პრემია მიენიჭათ ჩხოროწყუს სადაბო, ქედის რაიონის დანდალოს სასოფლო, თერჯოლის რაიონის ქვედა სამრნეთის სასოფლო, ოჩამჩირის რაიონის კინდღის სასოფლო, სამგორეკოს რაიონის უოკარმის სასოფლო, ცხინვალის რაიონის ვანათის სასოფლო სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

აღინიშნა, რომ ნაყოფიერად მუშაობდნენ მარნეულის საქალაქო, მახარაძის რაიონის **მთისპირის** სასოფლო, გალის რაიონის ოქტომბის სასოფლო, ქობულეთის რაიონის ულიანოვკის სასოფლო, ცხაკაიას, რაიონის უშაფათის სასოფლო, ხობის რაიონის ნოჯიხევის სასოფლო, გულრიფშის რაიონის ფშაფის სასოფლო, წალენჯიხის რაიონის მედანის სასოფლო, ზუგდიდის რაიონის ინგირის სასოფლო სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

ამასთანავე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ აღნიშნეს, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრება ყველგან რიდია სათანადოდ გაჩაღებული.

აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარებისა) საბჭოების აღმასკომებს შორის, მეტი ყურადღება დაუთმონ მის ქმედითობას, საჯაროობას, დაეხმარონ შეჯიბრებაში მონაწილეებს შრომის პირობების გაუმჯობესებაში, ფართოდ გაუწიონ პრაქტიკანდა შეჯიბრების გამარჯვებულთა გამოცდილებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ განიხილეს საკითხი 1979 წელს კოლმეურნეობა, მუშა-მოსამსახურეთა პირად დამხმარე მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის გადიდებისათვის სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარებისა) საბჭოების აღმასკომებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.

აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა გააქტიურეს საქმიანობა, გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა პირად მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის გადიდებისათვის. ბევრმა ადგილობრივმა საბჭომ პრაქტიკული დახმარება გაუწია კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს — შეაძენინა პირუტყვი, უზრუნველყო საკვებით, და წარმატებით შეასრულა კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობებში ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების გეგმა.

ამასთანავე რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მრავლად არის სახალხო დეპუტატთა ისეთი სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოები, რომლებიც პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს ეფექტიანი ბრძოლა საქართველოს ბაზარზე ადგილობრივი ნედლეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად. ეს ეხება, ასევე, ბევრ ადგილობრივ ინდუსტრიულ საწარმოებს, ორგანიზაციებს, ეკონომიკურ სამსახურებს, ფინანსურ ორგანოებს, ბანკებს, ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ეკონომიკურ ფაკულტეტებს, ეკონომიკურ ტექნიკუმებს, ეკონომიკურ სასწავლებლ

ბელადის საჩუქარი

სურათზე: ფაბრიკის მოწინავეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) იზოლდა შუკაიძე, მარინე გურგუჩიანი, როზა ელიავა, გულიკო ხოხანეშვილი, ნანული კვესაძე და ელენე ხუციძე, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ და ვალდებულება იკისრეს 22 აპრილისათვის შეასრულონ მიმდინარე წლის ოთხი თვის სახელმწიფო გეგმა.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

ასე ზრუნავდა ლენინი საქართველოზე

...აგიტატორმა საუბარი დაიწყო. იგი შთაგონებით მოუთხრობდა მსმენელებს, მემაუდეებიც გულისყურით უსმენდნენ.

— თქვენ ყველანი მოწმენი ხართ იმისა, თუ როგორ იზრდება, მშვენიერდება, ძლიერდება და ყვავდება ჩვენი ქვეყანა, ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენი ქალაქი. მაგრამ როგორადაც უნდა გაიზარდოს ქუთაისი და მისი მრეწველობა, საბჭოთა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის პირმშოს — ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკას თავისი სახელოვანი ისტორიითა და საამაყო წარსულით ყოველთვის პირველი და საპატიო ადგილი ექნება.

და, მართლაც, ამ სიტყვებში მსმენელებს ოდნავადაც არ შეჰპარვიათ ეჭვი, რადგან მათ კარგად იციან მშობლიური საწარმოს ისტორია, იციან, რომ ლენინი ქმნიდა და აშენებდა ახალ ცხოვრებას ყველგან, ქმნიდა აქაც, ქუთაისშიც... ლენინი არასოდეს არ ყოფილა საქართველოში და არც ქუთაისში უნახავს, მაგრამ ყველაფერი იცოდა საქართველოზე, მის სოფლებსა და ქალაქებზე, თბილისზეც და ქუთაისზეც.

ლენინმა იცოდა, თუ რა უბედურება დაატეხეს თავს საქართველოსა და ქართველ ხალხს მენშევიკებმა, იცოდა, თუ რა კატასტროფულად დაეცა და გაჩანაგდა ისედაც სუსტად განვითარებული მრეწველობა და მთელი სახალხო მეურნეობა.

და, იმ დღეებში, როცა თვით საბჭოთა რუსეთს ჯერ კიდევ მოშუშებული არ ჰქონდა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით, უცხოელთა ინტერვენციით მიყენებული ჭრილობები, როცა თვით რუსეთში საკმარისი არ იყო პური და ერთ სულ მოსახლეზე ბამბის ქსოვილის გამოშვება ერთ მეტრზე ნაკლებს შეადგენდა, დიდი ლენინი ფიქრობდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურულ აღორძინებაზე, ფიქრობდა და ზრუნავდა „რუსეთზე კიდევ უფრო გლეხური“ ქვეყნის — საქართველოს ინდუსტრიალიზაციაზე.

ჯერ კიდევ 1922 წელს დიდი ლენინის ინიციატივითა და მითითებით რუსეთის მუშათა კლასმა საბჭოთა საქართველოს მოსკოვიდან საჩუქრად გამოუგზავნა მაუდის ფაბრიკა მთელი თავისი მოწყობილობით.

თუ რას ნიშნავდა ქუთაისისათვის ვ. ი. ლენინის ეს საჩუქარი, ასეთი ფაქტიც კმარა: საქართველო ჩამორჩენილი ეკონომიკის საერთო ფონზე კიდევ უფრო უბადრუკად და უნუგეშოდ გამოიყურებოდა ამ ქალაქის მრეწველობა, რომელსაც მხოლოდ წვრილი შინამრეწველური სახელოსნოები შეადგენდა. ამ სახელოსნოებში სულ 311 კაცი იყო დასაქმებული და თითოეულ საწარმოზე საშუალოდ 5 მუშა მოდიოდა: ქალაქის მთელი მრეწველობის პროდუქცია (ფულის იმდროინდელი კურსით) წლიურად მხოლოდ 290 ათას მანეთს შეადგენდა.

1923 წლის 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე წლისთავზე, გაზეთი „მუშა და გლეხი“, სამართლიანად მიიჩნევდა რა მაუდის ფაბრიკის ამუშავებას ნამშვენლოვან ნიმასვეტად ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის გზაზე, მკითხველს აღფრთოვანებით აუწყებდა:

„ერთ ფრიად სასიხარულო საქმეს ჩაეყარა საფუძველი ქუთაისში. აქ ამუშავდება საქართველოს პირველი საქსოვი ფაბრიკა. ეს ფაბრიკა იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკური აღორძინებისათვის, რომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: ქუთაისის მეშჩანური სისხლს შეეშხაპუნება ახალი ნაკადი მრეწველობის მუშებისა, რომლებიც მისცემენ მის მოხუცებულ „კუნთებს“ მეტ ელასტიკურობასა და ენერგიას. ფაბრიკის თითქმის ყველა ნაწილი ქუთაისშია, ფაბრიკის მოწყობა დაწყებულია. მომდინარე წლიდან ჩვენ უნდა გავიგონოთ მიყრუებულ ქუთაისში გაცოცხლებული მანქანების გუგუნი“.

ძნელი იყო იმ დროს ასე ახალი საქმის ერთბაშად დამთავრება — არ იყო საავტომობილო ტრანსპორტი დაზგა-დანადგარების აგებილზე მისატანად, აკლდათ კვალიფიციური მშენებელ-მექანიკოები, არ ჰქონდათ სათანადო გამოცდილება და მაინც, ყოველივე ამის მიუხედავად, ფაბრიკის გამართვის საამოცანო არც ერთი დღით არ შეწყვეტილა. რუსი სპეციალისტების ხელმძღვანელობით მათ მხარდამხარ დაზგა-დანადგარებს ამონტაჟებდნენ ქართველი მუშები, რომლებიც ამავე დროს საფეიქრო წარმოების რთულ ტექნოლოგიასაც სწავლობდნენ.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სწორედ მაშინ, ოციან წლებში, ჩვენთან საბჭოთა საქართველოში პირველად მაუდის ფაბრიკაში გამოჩნდნენ პირველ კომუნისტურ შაბათობათა მიმდევრები. მუშები უდიდესი ენთუზიაზმით აწყობდნენ შაბათობებს ნებაყოფლობით, ამასთან უსასყიდლოდ მუშაობდნენ დაზგა-დანადგარების გადმოტვირთვასა და დატვირთვაზე, მასალების გადატანაზე, ფაბრიკის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის პირველმა დირექტორმა, რუსმა ინჟინერმა ივანე ტიმოფეევმა, რომელიც აქ 1922 წლის ბოლოს ჩამოვიდა, დიდი ენერგია მოახმარა მოსკოვიდან ჩამოტანილი დაზგებისა და მანქანების აწყობას, ფაბრიკის ამუშავებას. მასთან ერთად ფაბრიკის დამონტაჟებაზე მუშაობდნენ რუსი მექანიკოსი ივანე ანანინი, ქართველი ზეინკალ-მექანიკოსები ლადო თევდორაძე და თომა კუჭავა, რომლებიც შემდგომში კადრის მუშები გახდნენ და ორმოცი წლის მანძილზე ერთად ეწეოდნენ ჭაპანს.

ფაბრიკის ამუშავებისა და ქუთაისის პირველი სამრეწველო პროდუქციის — შალის ქსოვილების გამოშვებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს შემდეგში საქსოვი საამქროს უფროსმა იაკობ ქილარჯიანმა, ქსოვის ინსტრუქტორმა ნიკოლოზ ზავადსკიმ, მექანიკოსებმა ივანე ზაქარიაძემ, შალვა რუხაძემ, მანქანა-დანადგარების შემკეთებელმა პროკლე ნამჩევაძემ, ქვეოსტატებმა ნიკოლოზ თევზაძემ, რუბენ ქორიძემ, მექანიკური საამქროს უფროსმა ტარასი გვარაშაძემ, სამღებრო-საგამომშვებელო საამქროს ოსტატმა ვარლამ იმერაძემ, წუნმდებელმა ლეონიდე ფიდალმა, მშრომელმა გიორგი ლორთქიფანიძემ, ნართის მხარეველმა ვერა ჟღენტელმა, მქსოველებმა აგრაფინა რაზმაძემ, დომნა ნამჩევაძემ, ალექსანდრა კოხრეიძემ, ელენე ჯაფახაძემ და სხვებმა. ამ ადამიანებმა, რომელთა ერთი ნაწილი დღეს ცოცხალი აღარ არის, ხოლო დანარჩენები ან უკვე საყვარელ ფაბრიკაში მუშაობენ, ან კიდევ პენსიაზე არიან გასული, თავიანთი [illegible] ფაბრიკის მოწყობაში [illegible] [illegible] [illegible]



სართულები მაღლა მიიწევს

ზ. დათუაშვილის ფოტო.

უმაღლესი სასწავლებლების ახალი შემადგენლობა

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დამტკიცა 1980 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები.

წელს უმაღლესი სასწავლებლების დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე მიიღებენ მილიონზე მეტ კაცს. როგორც ხაკდესის კორესპონდენტს უთხრეს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში, მიღების წესებში შეტანილი დამატებები ასახავენ ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან „უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“. ახალშემოღებული წესების მიზანია უფრო სრულად უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის სწრაფად განვითარებადი დარგები მაღალკვალიფიციური კადრებით.

დამატებითი შეღავათები ეძლევათ ახალგაზრდებს, რომლებმაც სკოლა ოქროს მედლით დაამთავრეს, აგრეთვე საშუალო სპეციალური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომლებსაც აქვთ წარჩინების დიპლომი. მათ მიეცათ უფლება უმაღლეს სასწავლებლებში შევიდნენ საკონკურსო გამოცდების ჩაბარებლად მეტალურგიის, სამთო და ნავთობმომპოვებელი გაზის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვა წამყვანი დარგების მეცნიერულ სპეციალობებზე. ეს შეღავათები არ გავრცელდება აბიტურიენტებზე, რომლებიც განცხადებებს შეიტანენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, აგრეთვე ამიერკავკასიისა და მოლდავეთის მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში.

პირები, რომლებიც აბარებენ მწვავედფიციტურ სპეციალობებზე და საშუალო განათლების შესახებ დოკუმენტში აქვთ საშუალო ქულა სულ ცოტა ოთხნახევარი, აბარებენ ორ გამოცდას მაპრფილებელ დისციპლინებში: აბიტურიენტი, რომელმაც მოაგროვა სულ ცოტა რვა ქულა, ირიცხება უმაღლეს სასწავლებელში. თუ ერთ რომელიმე ამ საგანში იგი მიიღებს „სამიანს“, უნდა ჩააბაროს ყველა დანარჩენი გამოცდა.

განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ციმბირის, ჩრდილოეთის, შორეული აღმოსავლეთის, რუსეთის სფსრ არაშავმიწანადაგიანი ზონისათვის. აქ მოქმედმა მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის საწარმოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნრობებმა მიიღეს უფლება დასახელებული რეგიონების (ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის გარდა) უმაღლეს სასწავლებლებში მწვავედფიციტური სპეციალობების შესასწავლად გაგზავნონ თავიანთი სტიპენდიატები მათი მოშაობის სტაჟის მიხედვად.

წესები შეიცავს დამატებას სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებზე მიღების შესახებ. წელს სასწავლებლებში არ იქნება დეფიციტურ სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებზე ადგილების ყოფილებაზე ჩაირიცხებიან აბიტურიენტებისადან აბიტურიენტები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სოფლად. უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი განყოფილებების სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებზე. უკონკურსოდ მიიღებიან პირები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები და კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობების სხვა სახელმწიფო საწარმოებისაგან აქვთ მიმართვა ინსტიტუტში მუშაობის პროფილით სწავლისათვის.

22-ე ოლიმპიურ ასპარეზობასთან დაკავშირებით შეცვლილია მისაღები გამოცდების ვადები იმ ქალაქების უმაღლეს სასწავლებლთა დღის განყოფილებაზე, სადაც გაიმართება სპორტული შეჯიბრებები. მოსკოვში, ტალინში, მინსკში დოკუმენტებს მიიღებენ 20 ივნისიდან 31 ივლისამდე. მოსკოვსა და ტალინში მისაღები გამოცდები მოეწყობა 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე, მინსკში — 10-დან 25 აგვისტომდე. პირველკურსელები მინსკში მეცადინეობას დაიწყებენ 5 სექტემბერს, მოსკოვსა და ტალინში — 15 სექტემბერს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიური ქალაქების უმაღლესი სასწავლებლებში არ იქნება შიზოფული სხვა ქალაქების ახალგაზრდა ადამიანები მიღება. ამ ნებისმიერი სასწავლებელი თავისი სურვილის მიხედვით. ამასთან მოსკოვის ყველა უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტებს მიიღებს საერთო საცხოვრებლებში ადგილების რაოდენობის შესაბამისად. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო სხვა ქალაქების აბიტურიენტებს ურჩევს დროულად გამოაცხადონ, არის თუ არა საერთო საცხოვრებელი მათთვის საინტერესო უმაღლეს სასწავლებელში.

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთ საერთო საცხოვრებლები მიეცემათ მხოლოდ 15 აგვისტოდან. ამიტომ მიღების შესახებ დოკუმენტები წინასწარ უნდა გამოიგზავნოთ ფოსტით გამოცხადებული თანხით.

მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ ინსტიტუტებსა და უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებებზე სხვა ქალაქების ახალგაზრდების მიღება 1980 წლის მაისს აგვისტოში გაიმართება დიდ ალაქის ფარგლებს გარეთ მდებარე ფილიალებსა და სასწავლო-პროფესიულტაციო პუნქტებში. მიღებული გამოცდების ადგილას ვადებს უმაღლესი სასწავლებლები თავიანთ აბიტურიენტებს დროულად შეატყობინებენ.

საერთაშორისო აღიარება

ქართული ფიზიოლოგიის სკოლის კიდევ ერთი გამარჯვება

REGULATION OF CEREBRAL CIRCULATION

Edited by G. I. MCHEDLISHVILI, M. J. PURVES, A. G. B. KOVACH

ACADEMIA KIADÓ, BUDAPEST

ამას წინათ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ „აკადემიაი კიადომ“ ბუდაპეშტში ინგლისურ ენაზე გამოსცა წიგნი „თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაცია“. იგი წარმოადგენს 1978 წლის აპრილში თბილისში ჩატარებული IV საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომების კრებულს.

წიგნის რედაქტორები არიან: პროფესორი გ. მჭედლიშვილი — თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ქართული სკოლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, რომლის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა და თეორიულმა გამოკვლევებმა უკვე ოდი ნანა მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება, ინგლისელი პროფესორი მ. პარვისი — მსოფლიოში ამავე დარგის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, ბრისტოლის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი და უნგრელი პროფესორი ა. კოვაჩი — ფიზიოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების გენერალური მდივანი.

სამი განსხვავებული სკოლის წამყვანი სპეციალისტების თანამშრომლობა თავისთავად უნიკალური მოვლენაა და შემდგომი საერთაშორისო მეცნიერული კვლევის დიდ შესაძლებლობებს იძლევა.

მსოფლიოში პირველი სიმპოზიუმი ამ დარგში 1963 წელს გაიმართა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ასეთი სიმპოზიუმები საბჭოთა კავშირში მხოლოდ თბილისში ეწყობა და ამიტომ „თბილისურს“ უწოდებენ. IV სიმპოზიუმში საბჭოთა კავშირის წამყვან სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, შვეიცის, უნგრეთის, პოლონეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლები.

ამ „თბილისურ“ შეკრებებს შორის IV სიმპოზიუმი აღსანიშნავია იმით, რომ ის იყო პირველი ცდა მთლიანად განეხილათ პრობლემა, მისი გადწყვეტის დონე და შემდგომი კვლევის პერსპექტივა. ამისათვის სიმპოზიუმს წინ უძღოდა 3 წლის დაძაბული შრომა. ამ მოსამზადებელ პერიოდში კომპეტენტურმა სპეციალისტებმა სისტემურად გააანალიზეს განსახილველი პრობლემა. სიმპოზიუმზე მოსმენილი მოხსენებები წარმოადგენს არა ცალკეულ ნაშრომთა მონაცემებს კერძო საკითხების ირგვლივ, არამედ ამ დარგში მიღწეული შედეგების ზოგად მიმოხილვას. ყოველი მოხსენება იყო დისკუსიის შესავალი. პრობლემის განხილვაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც ისევე როგორც მომხსენებლები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ემზადებოდნენ ამ დისკუსიისათვის, და მისი მიზანი იყო პრობლემის სხვადასხვა ასპექტის გაშუქება და მისი გადაწყვეტის დღევანდელი დონის გარკვევა.

აღსანიშნავია, რომ სიმპოზიუმზე რეგისტრირებული იყო 500-ზე მეტი მამასავლა, რომელთა უმეტესი ნაწილი დაბეჭდილია აღნიშნულ წიგნში. სიმპოზიუმის ამ სახით გამართვა პირველი ექსპერიმენტია, რომლის შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნი წარმოადგენს შემაჯამებელ ნაშრომს, სადაც მაღალ მეცნიერულ დონეზეა განხილული თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციის პრობლემა. აქვეა მსოფლიოს წამყვან სპეციალისტთა აზრი ამ საკითხზე.

აღნიშნული წიგნში გამოქვეყნებულია ჩვენი თანამემამულეების პროფესორ ვ. გაბაშვილის, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატების დ. ბარამიძის, ვ. მამისაშვილის და ილ. ნიკოლაიშვილის მოხსენებები.

უეჭველია, რომ ახალი გამოცემა იქნება ძირითადი სახელმძღვანელო იმათთვის, ვინც დაინტერესებულია თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხებით.

მსოფლიოს წამყვანმა სამეცნიერო ჟურნალებმა, რომლებიც დაკავშირებული არიან თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის პრობლემებთან, ფართოდ გააშუქეს თბილისის IV სიმპოზიუმი.

სიმპოზიუმის მასალების ინგლისურ ენაზე გამოცემა ქართული ფიზიოლოგიური სკოლის კიდევ ერთი დიდი გამარჯვებაა.

თ. ლამბაშიძე.

როგორი იქნება საგაზაფხულო არდადეგები?

ახლოვდება მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგები. დროებით გვერდზე გადაიდება სახელმძღვანელოები, დამთავრდება მესამე ყველაზე პასუხსაგები სასწავლო მეოთხედი. იმის შესახებ, თუ რა ეწყობა არდადეგების დღეებში ბავშვებისათვის, მოგვითხრობენ:

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ლ. ხარბედია:**

— დროულად დავიწყეთ მზადება საგაზაფხულო არდადეგებისათვის. 175 ათასი ბავშვი დაისვენებს შავი ზღვის სანაპიროზე საუკეთესო ჯანმრთელობის კერებში, მანგლისის, კოჯრის, შოთის, ჯავასა და სხვა პიონერთა ბანაკებში.

მათთვის, ვინც ქალაქში დარჩება, თეატრები სპეციალურად გამართავენ დღის სპექტაკლებს, კინოთეატრებში ნაჩვენები იქნება საბავშვო და საყმაწვილო ფილმები.

სამრეწველო საწარმოებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში მოეწყობა „ღია კარის დღეები“. თითქმის თხუთმეტი ათასი ბავშვი შეხვდება სოციალისტური შრომის გმირებს, წარმოების მოწინავეებს.

საბავშვო და საყმაწვილო წიგნების ტრადიციული კვირეულის დროს ბავშვების წინაშე გამოვლენ ცნობილი პოეტები და პროზაიკოსები.

საბავშვო მუსიკის კვირეულის დღეებში მოეწყობა კონცერტები, ლექციები, სამღერის დღესასწაულები, შეხვედრები ხელოვნების ოსტატებთან.

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი **თ. ულელეი:**

40 ათასი სკოლის მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას სამეცნიერო-შემოქმედებითს კონფერენციაში, რომელიც სკოლის არდადეგების დროს გაიმართება, წარმოდგენილი მოხსენებებიდან საუკეთესოებს წაიკითხავენ 24 სექციაში. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე, ბავშვების წინაშე გამოვლენ ცნობილი მეცნიერები. უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში მოსწავლეები გაეცნობიან მეცნიერთა ახალ ნამუშევრებს.

ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური“ კონცერტს გამართავს ლენინგრადში „დარბაზ ოქტომბერში“, ცენტრალური ტელევიზიით გამოვა ბიჭუნების ინსტრუმენტული ანსამბლი. მოსწავლეებისათვის მოეწყობა მთელი რიგი საინტერესო ექსკურსია და მოგზაურობა.

ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი ჯ. სამხარაძე:

დიახ, ჩვენს ბავშვებს არდადეგების პერიოდში ბევრი საინტერესო რამ ელით. სრულიად საკავშირო ტურისტული მხარეთმცოდნეობითი ლაშქრობის გამარჯვებულნი გაემგზავრებიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. თბილისელი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ტურისტთა სრულიად საკავშირო შეკრებაში, რომელიც კუიბიშევში მოეწყობა.

საინტერესო მარშრუტს ვთავაზობთ მოგზაურობის მოყვარულებს: ტაშკენტი-სამარყანდი-ბუხარა. ნორჩი მხარეთმცოდნეები, გეოგრაფები, ტურისტები, გეოლოგები და მხარეთმცოდნე ისტორიკოსები გაეცნობიან მოსკოვისა და ლენინგრადის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დედაქალაქებისა და ქვეყნის სხვა ქალაქების ღირსშესანიშნაობებს. (სატელეფონო).

ᲣᲧᲐᲒᲐᲮᲘ

საქართველოს სპორტსმენთა ახალი საზოგადოება

საქართველოში შეიქმნა ახალი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ზენიტი“. საზოგადოების განმგებლობაში გადაიცა ორი საბავშვო-საყმაწვილო სპორტული სკოლა, ათობით სტადიონი, მოედანი, დარბაზი, ტირი, საცურაო აუზი.

გაიმართა საქართველოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ზენიტის“ რესპუბლიკური საბჭოს დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანმა ზ. ავალიანმ.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ზენიტის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ გ. ხრომოვამ საქართველოს სპორტსმენებს მიულოცა ახალი ნებაყოფლობითი საზოგადოების შექმნა.

კონფერენციაზე გამოსულმა სპორტული საზოგადოებიობის წარმომადგენლებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ახალი საზოგადოება ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში ფიზიკულტურული მოძრაობის შემდგომ განვითარებას.

გაიმართა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ზენიტის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი. თავმჯდომარედ არჩეულია გ. მძელური. (საქინფორმი).

პრეტენდენტთა მატჩებზე

კისლოვოდსკში

მერვე პარტიის განახლებისას ახმილოვსკაია ალეკსანდრიას ეკუთვნა თეთრები. ორ-ორ ცალ ფილებზე ალეკსანდრიას განლაგებაში, მაქსიმალურად გააძლიერა თავისი პოზიცია, მაგრამ მოგების შესაძლებლობები მაინც ვერ მიიღო. ალეკსანდრია მშვიდად და, რაც მთავარია, ზუსტად იცავდა თავს. მას შემდეგ, რაც ლაზიერის ფრთაზე ორ-ორი პიკი გაიცვალა, ახმილოვსკაიას უკვე აღარ ჰქონდა მოგებაზე თამაშის საფუძველი, მაგრამ „ინერციით“ კიდევ გააკეთა რამდენიმე სვლა. მისი გამსვლელი პიკი ბლოკირებული იყო, ამიტომ კრასნოარსკელი მოუდრაკე, ბოლოს და ბოლოს, შეიგეო ყაიმს, რომელიც მისთვის, ფაქტიურად, დამარცხებას უდრიდა. ამიერიდან ხომ ახმილოვსკაიას მატჩის გასაგრძელებლად ორივე დარჩენილი პარტიის მოგება სჭირდება.

ახმილოვსკაია — ალექსანდრია

მერვე პარტიის დებიოლიები



პარტია გადადებული იყო ასეთი პოზიციაში: თეთრები — ახმილოვსკაია: მფg2, ედ5, კg4, ს.პ. a2, b3, e6, h5 (7) შავები — ალექსანდრია: მფf8, ეe7, კe3, ს.პ. a5, b6, g7, h6 (7)

თამაში ასე გაგრძელდა: 41... ეc7 (ალექსანდრიას მიერ ჩაწერილი სვლა). 42. ეf5+ მფe8 43. კe2 მფe7 44. კc4 კc5 45. მფf3 b5 46. კd5 კd4 47. მფe4 კf6 48. ეf1 ეc2 49. a4 ba 50. ba ეh2 51. ეd1 ეh4+ 52. მფf3 ე:a4 53. კb3 ეh4 54. ეd7+ მფe8 55. კc2 კe7 56. კg6+ მფf8 57. ეa7 ეd4 58. ე:a5 კf6 59. ეa7 კe7 60. ეb7 ეd8 61. მფg4 ed1 62. მფf5 ეd8 63. მფe4 ეd1 64. კf7 ეd8 65. მფe5 კd6+ 66. მფe4 კe7 67. კg6 ეd1 ყაიმი.

უძანასკნელ საათს

თბილისი. გაფრინდაშვილ-გურეილის მატჩის მერვე პარტიაც ანაგრ გადატანილია. ამჯერად მსოფლიოს ექს-ჩემპიონის თხოვნით. მეტოქეებმა უკვე ორ-ორი ტაიმ-აუტი გამოიყენეს. მერვე პარტია 20 მარტს უნდა გაიმართოს.

კისლოვოდსკი. ალექსანდრია-ახმილოვსკაიას მეცხრე პარტია გადატანილია. მეორე ტაიმ-აუტი აიღო ახმილოვსკაიამ.

გ. გამრეკელი.

კირველი შეხვედრები

გაიმართა საქართველოს ფეხბურთელთა ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები. წულუკიძის „იმერეთმა“ თბილისში დამარცხა ადგილობრივ არმიელთა კოლექტივი (2:1), ხობის „კოლხეთმა“ მოუგო ცხაკაიას „ეგრისს“ (2:1), გალის „მზიურმა“ — გორის რაიონის „ქართლს“ (3:0), საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა — წალენჯიხის „სქორს“ (3:0). შვიდი მატჩი ფარედ დამთავრდა: თბილისის „სპარტაკი“-ცხინვალის „სპარტაკი“ — 0:0, ჭიათურის „მაღაროელი“-თერჯოლის „ენერგეტიკოსი“ — 0:0, თბილისის „ავიატორი“-ბოლნისის „მადნეული“ — 2:2. ოჩამჩირის „ამირანი“-ხაშურის „ეკერი“ — 1:1, გეგეჭკორის „სალხინო“-ტყიბულის „მეშახტე“ — 1:1, თელავის „კახეთი“-მახარაძის „მერკანალი“ — 1:1, ზესტაფონის „მეტალურგი“-ვანის „სოლორი“— 1:1.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

20 მარტი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.). 17.20 — ბიბლიოგრიფგამთავლი — ფიზიკა (ფ.), 17.50 — განცხადებები (ფ.), 17.55 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას (ფ.), 18.25 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი“, 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიადები“ (მ.). 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.25 — „ფიზიკმულება“ — დოკუმენტური ფილმი კეპმ-დევიდის ხელშეკრულების რეალიზაციული არსის შესახებ (მ.), 20.55 — „ალობუსი“ (ფ.), 21.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — სპორტული მიმოხილვა (ფ.). 23.05 — ახალი ამბები (ფ.),

მეორე პროგრამით: 16.05 — მოსწავლეთათვის ქართული ენა (ფ.), 16.35 — განცხადებები (ფ.), 16.40 — ჩვენს დიად სამშობლოში საგეოლოგიზიო დოკუმენტური ფილმი „ფიქრი გზაზე“, 17.05 — მასწავლებლის საათი, ფიზიკა, 17.50 — „კონცერტი“, 18.35 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ერთი საათი განთიადამდე“ — პირველი ნაწილი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვრემია“, 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — გამოგვეხმაურეთ, ჟორნისტებო! 10.35 — მხატვრული ფილმი „ანტარქტიკული მოთხრობა“. პირველი სერია, 11.45 — ი. ბრამსი — ფორიანციები ორ ჩელოსა და ორკესტრისთვის. 12.20 — „ახალი ამბები, 15.50 — ადამიანი დედამიწაზე. კინოპროგრამა, 17.00 — ვ. ბაბოვა. შემოქმედების ფურცლები, 17.45 — ხალხური მელოდიები. 18.00 — ნორჩი სპორტსმენის დიდი ასპარეზი, 18.30 — „რუსული ენა, 19.00 — **მილიონთა ლენინური უნივერსიადები.** სამეურნეო ანგარიში როგორც სოციალისტური წარმოების მართვის მეთოდი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. წითელი დროშით დაჯილდოებული ზაპორიჟიე საწარმოო გაერთიანების „ზაპოროჟეცსანფაბრიკის“ მაგალითის მიხედვით, 19.30 — ყოველ ნაბიჯში მზეა, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — ე. კოლმანოვსკის სიმღერები, 20.25 — „გარიგება“. დოკუმენტური ფილმი კეპმ-დევიდის ხელშეკრულების რეალიზაციული არსის შესახებ, 20.55 — მხატვრული ფილმი „ანტარქტიკული მოთხრობა“. მეორე სერია, 22.00 — „ვრემია“, 22.35 — საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტო. დამთავრების შემდეგ — დღეს მსოფლიოში.

მეოთხე პროგრამით: 20.00 — ჰოკეი. „სპარტაკი“ — რიგის „დინამო“. შესაფენების დროს (20.40) — „ძილი ნებისა, პაგარიბოლ!“, 22.00 — დიდი სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „ანია“.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

20 მარტი

ფალიაშვილის სახელობის ოპერასა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ერეკლეს ბალეტი (31-ე აბონ. მე-8 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სიხვარული თელეშავრეთ; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მზის ჩასვლის ნინ; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩარლის დეიდა.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, „სამტრესტისა“ და „საქჩაის“ საწარმოო გაერთიანებები, საპროექტო ინსტიტუტი „საქკვებმრეწსახპროექტი“ და კვების მრეწველობის მუშამოსამსახურეთა რესპუბლიკური კომიტეტი იუწყებიან, რომ 48 წლისა გარდაიცვალა „საქკვებმრეწსახპროექტის“ დირექტორის მოადგილე

ანზორ გიორგის ძე ჩიქვინიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს კოლეგია, პარტიული ბიურო და პროფკავშირის ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამინისტროს კოლეგიის ყოფილი წევრი, მთავარი ბუღალტერი, 1957 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი

სოგრატ ფილიპეს ძე შაუბულიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲒᲠᲘᲞᲘᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲐᲚᲓᲔᲒᲝ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ

ლენინგრადის პასტერის სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი თამაზ ფერაძე ამას წინათ დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ვირუსოლოგთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა. იქ მან გააკეთა მოხსენება „გრიპოზული ინფექციების შესახებ“.

საბჭოთა მეცნიერი-ვირუსოლოგის სახელს ფართოდ იცნობენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. იგი შვიდ წელზე მეტ ხანს წარმოადგენდა საბჭოთა მეცნიერებას საზღვარგარეთ, მუშაობდა ინგლისსა და საფრანგეთის უდიდეს სამეცნიერო ცენტრებში, აგრეთვე აფრიკის განვითარებად ქვეყნებში — ნიგერიასა და უგანდაში, სადაც ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხაზით ხელმძღვანელობდა ვირუსული ინფექციების პრობლემების შესწავლას, მასობრივი ვაქცინაციების მოწყობას, სპეციალური ლაბორატორიების შექმნას, აგრეთვე სამედიცინო კადრების მომზადებას.

ტროპიკების პირობებში ვირუსოლოგიის ცალკეული პრობლემების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობისათვის თ. ფერაძე აირჩიეს ტროპიკული მედიცინისა და ჰიგიენის სამეფო საზოგადოების წევრად. მან დიდი პრაქტიკული წვლილი შეიტანა ბევრი ინფექციური დაავადებების, კერძოდ, პოლიომიელიტისა ამ „თბილისურ“ შეკრებებს შორის IV სიმპოზიუმი აღსანიშნავია იმით, რომ ის იყო პირველი ცდა მთლიანად განეხილათ პრობლემა, მისი გადწყვეტის დონე და შემდგომი კვლევის პერსპექტივა. ამისათვის სიმპოზიუმს წინ უძღოდა 3 წლის დაძაბული შრომა. ამ მოსამზადებელ პერიოდში კომპეტენტურმა სპეციალისტებმა სისტემურად გააანალიზეს განსახილველი პრობლემა. სიმპოზიუმზე მოსმენილი მოხსენებები წარმოადგენს არა ცალკეულ ნაშრომთა მონაცემებს კერძო საკითხების ირგვლივ, არამედ ამ დარგში მიღწეული შედეგების ზოგად მიმოხილვას. ყოველი მოხსენება იყო დისკუსიის შესავალი. პრობლემის განხილვაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც ისევე როგორც მომხსენებლები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ემზადებოდნენ ამ დისკუსიისათვის, და მისი მიზანი იყო პრობლემის სხვადასხვა ასპექტის გაშუქება და მისი გადაწყვეტის დღევანდელი დონის გარკვევა.

აღსანიშნავია, რომ სიმპოზიუმზე რეგისტრირებული იყო 500-ზე მეტი მამასავლა, რომელთა უმეტესი ნაწილი დაბეჭდილია აღნიშნულ წიგნში. სიმპოზიუმის ამ სახით გამართვა პირველი ექსპერიმენტია, რომლის შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნი წარმოადგენს შემაჯამებელ ნაშრომს, სადაც მაღალ მეცნიერულ დონეზეა განხილული თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციის პრობლემა. აქვეა მსოფლიოს წამყვან სპეციალისტთა აზრი ამ საკითხზე.

აღნიშნულ წიგნში გამოქვეყნებულია ჩვენი თანამემამულეების პროფესორ ვ. გაბაშვილის, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატების დ. ბარამიძის, ვ. მამისაშვილის და ილ. ნიკოლაიშვილის მოხსენებები.

უეჭველია, რომ ახალი გამოცემა იქნება ძირითადი სახელმძღვანელო იმათთვის, ვინც დაინტერესებულია თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხებით.

მსოფლიოს წამყვანმა სამეცნიერო ჟურნალებმა, რომლებიც დაკავშირებული არიან თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის პრობლემებთან, ფართოდ გააშუქეს თბილისის IV სიმპოზიუმი.

სიმპოზიუმის მასალების ინგლისურ ენაზე გამოცემა ქართული ფიზიოლოგიური სკოლის კიდევ ერთი დიდი გამარჯვებაა.

თ. ლამბაშიძე.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ

მარტი რომ ჭირვეულია და დღეში რამდენჯერმე იცვლის ფერს, ეს ხალხური გადმოცემებითაც კარგად არის ცნობილი. არც წლევანდელმა მარტმა გაუტეხა პირი და თავისებურად „ყურია“. ჯერ იყო და, ამ ორი დღის წინათ თოვლი წამოუშინა, ეხვად ბარდნიდა მთაში და ბარში, შავიზღვისპირეთში წვიმდა.

19 მარტს ღამით, სამ საათზე ხეობაში ქარი ამოვარდა, რომლის სიძლიერე წამში თბილისში 25 მეტრს, ხოლო აეროპორტის მიდამოებში 30 მეტრს აღწევდა.

როგორც თბილისის ამინდის ბიუროში ჩვენს კორესპონდენტს აცნობეს, იცვლება შავიზღვისპირეთიდან არქტიკული ჰაერის შემოჭრამ გამოიწვია, რასაც დასავლეთში წვიმები და აღმოსავლეთში თოვა და ქარების გაძლიერება მოჰყვა.

მომდევნო ორ დღეში თანდათანობით დათბება. ქარი შესუსტდება. დასავლეთ საქართველოში ღამით 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო, დღისით პლუსს 4-9 გრადუსი იქნება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ღამით 1-6 გრადუს ყინვას, დღისით 0-5 გრადუს სითბოს ვარაუდობენ.

თბილისში ღამით ნოლი-მინუს 2, დღისით 10-15 გრადუსი სითბოა მოსალოდნელი.

გუშინ, 9 საათის მონაცემებით, თბილისში 6 გრადუსი სითბო იყო. აღმოსავლეთ საქართველოში 0-4, დასავლეთ საქართველოში 1-5 გრადუსი სითბო აღინიშნა.

ᲒᲠᲘᲞᲘᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲐᲚᲓᲔᲒᲝ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ

ლენინგრადის პასტერის სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი თამაზ ფერაძე ამას წინათ დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ვირუსოლოგთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა. იქ მან გააკეთა მოხსენება „გრიპოზული ინფექციების შესახებ“.

საბჭოთა მეცნიერი-ვირუსოლოგის სახელს ფართოდ იცნობენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. იგი შვიდ წელზე მეტ ხანს წარმოადგენდა საბჭოთა მეცნიერებას საზღვარგარეთ, მუშაობდა ინგლისსა და საფრანგეთის უდიდეს სამეცნიერო ცენტრებში, აგრეთვე აფრიკის განვითარებად ქვეყნებში — ნიგერიასა და უგანდაში, სადაც ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხაზით ხელმძღვანელობდა ვირუსული ინფექციების პრობლემების შესწავლას, მასობრივი ვაქცინაციების მოწყობას